რედაქცია

გალავინის პროსპექტზედ, ივ. მუხრანსკის სახლებ-ში კლუბის ქვემოთ.

ხელის-მოწერა

მიიღება თფილისში „დროება“-„ივერიის“ რედაქცია-ში, ქუთაისში: „დროება-ივერიის“ აგენტთან ი. ჭყონიას-თან სილაზე. გარეშე მცხოვრებთათვის: Въ Тифлисъ, въ редакцію „Дроэба“-„Иверіи“.

„დროება“-„ივერიის“ ფასი

| | წელიწადში. | 6 თვეს. | 3 თვეს |
|---|---|---|---|
| „დროება“ და „ივერია“ ერთად | 14 მან. . . | 8 მ. . | 5 მ. |
| ცალკე „დროება“ . . . . . | 9 მან. . . | 5 მ. . | 3 მ. |
| ცალკე „ივერია“ . . . . . | 7 მან. . . | 4 მ. . | 2 მ. |


# დროება


გამოდის ყოველ-დღე ორშაბათს გარდა

ფასი განცხადებისა

დიდი ასოებით ასოზე 4 კ., [illegible] ასოებით ასოზე ნახევარი კაპ., [illegible] ასოზე მეოთხედი კაპ.

თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს და შეამოკლებს დასაბეჭდად გამოგზავნილ წერილებს. დაუბეჭდელ წერილს რედაქცია ფოსტით ვერ დაუბრუნებს ავტორს.

განცხადებანი მიიღება ქართულს, რუსულს და სხვ. ენებზედ.

ქუთაისში განცხადება მიიღება „დროება“-„ივერიის“ აგენტთან.

ცალკე ნომერი „დროებისა“ ღირს 5 კაპ.



პირველის ივნისიდამ წლის დამლევამდინ

**დროება**

ღირს ექვსი მანეთი

ხელის-მოწერა მიიღება, თფილისში, რედაქციაში (გალავინის პროსპექტზე, თ. ივ. მუხრანსკის სახლებში, კლუბის ქვეშ), ქუთაისში—აგენტთან ა. ილია ჭყონიასთან (სილაზე, მირიან ჭყონიას სახლში). ქალაქს გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: Тифлисъ. Редакція „Дроэба“.


უმდაბლესად გსთხოვთ ყველას, ვინც კი რამე იცოდეს ან გაგონებით, ან წერილობით სოლომონ ლეონიძის (მეფე ერეკლეს მდივნის) შესახებ, დაგვავალოს და ის ცნობები „დროების“ რედაქციაში გამოგვიგზავნოს.

აკაკი

## ტელეგრამმა

(„ჩრდილოეთის ტელეგრაფის სააგენტოსი“)

**პეტერბურღის ბირჟა, 22 ივნისს.**

| ბანკის ბილეთები: | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| პირველი გამოცემისა — | 95 | 50 |
| მეორესი — — — — | 94 | 37 |
| მესამესი — — — — | 94 | 37 |
| მეოთხესი — — — | 94 | 12 |
| აღმოსავლეთის პირვ. — | 92 | 75 |
| აღმოსავლეთის მეორე | 92 | 87 |
| აღმოსავლეთის მესამე | 92 | 75 |
| ოქრო, 1/2 იმპერიალი | 7 | 92 |

შინაგანის 5% სესხი ბილეთები:

| | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| პირველი სესხის — — | 228 | 50 |
| მეორე სესხის — — — | 221 | 50 |

1 მანეთი ღირს:

| | | |
|---|---|---|
| ლონდონი — — | 24—75 | პენსი |
| ბერლინი — — | 123— | „ პფენიგი |
| ჰამბურღი — — | 212—75 | ცენტი |
| პარიჟი — — — | 262—25 | სანტიმი |
| კავკასიის კერასინი — — — | | |

## სამშობლო ქვეყნის გაცნობა

თბილისი, 23 ივნისს.

ჩვენთვის არ თქმულა საბერძნეთის დიდი ფილოსოფოსის (სოკრატის) სიტყვა: „გაიცანი შენი თავიო“. რუსები, ფრანცუზები, ინგლისელები და ნემეცები უფრო კარგათ იცნობენ ჩვენს ხალხსა და ქვეყანას, ვინემ თვითონ ჩვენ. წელიწადი ისე არ გაივლის, რომელიმე უცხო ქვეყნელი არ მოვიდეს ჩვენში, არ დაიაროს ჩვენი ქვეყანა, არ გაიცნოს ხალხის ცხოვრება და ისტორია და შემდეგ დაწვრილებითი ცნობები არ დასწეროს და დაბეჭდოს კავკასიის ეტნოგრაფიაზე, ისტორიაზე, ბუნებაზე და სხვ. და სხვ. კლაპროტი, დიუბუა დე-მონპერე, ჰაქსგაუზენი, ალექსანდრე დიუმა, ბონვილი, ელიზე რეკლიუ და ბევრი სხვა, რომელი ერთი ჩამოვთვალოთ! ჩვენ—თუ ვინმე ჩვენთაგანს უცხო ქვეყნის ენა შეუსწავლია—დოლში უკან ჩამორჩენილ ცხენსავით, დავედევნებით ამ უცხო ქვეყნელებს და იმათგან ვსწავლობთ ჩვენი სამშობლოს აწმყოს და წარსულს. მომავალი არხეოლოგიური კრება თბილისში უკანასკნელათ დაგვიმტკიცებს ამ უცხო ქვეყნელ ზრუნვას ჩვენს საჭიროებაზე.

მართალია ჩვენში არ არის იმდენი გონებითი ძალა, რომ ისეთის ხელოვნებით და ცოდნით გამოკვლეულ იქმნას ჩვენი ქვეყანა, როგორათაც იკვლევენ ბროსსე, კლაპროტი და სხვ. მაგრამ სამწუხარო ის არის, რომ ჩვენში ისეც არ კეთდება, რის გაკეთებაც შეუძლია ჩვენ სუსტ ძალას. ჩვენდა საყოველთაო სასიხარულოთ, სწავლა-განათლება, რომელიც დღემდის მარტო დიდ და პატარა ქალაქებში იყო, სოფლებშიაც ვრცელდება ცოტ-ცოტათ. დღეს ყველა ქართულ უეზდებში არის რამდენიმე საერო სკოლა, თითქმის ყველა სოფლებში არის ეკლესია მღვდლებით და საეკლესიო მოსამსახურეთა, არის სოფლის სასამართლოები მწერლებით, ასე რომ წერა კითხვა შეუნიშნავათ და თითქო კუს ნაბიჯით ცოტ-ცოტათ და ნელ-ნელა მიჩოჩავს წინ... ჩვენი სამშობლო, ჩვენი ხალხი და ზნე, ჩვენი ეტნოგრაფია და ტოპოგრაფია, ჩვენი ეროვნება—ეს სულ ჩვენ სოფლებში არის მოთავსებული და ამ სოფლებში სასოფლო სკოლის ოსტატს, მღვდელს, დიაკვანს, მწერალს შეუძლიან ლონის-და-გვარად შეჰკრიბონ ადგილობრივი საინტერესო ცნობა ისტორიაზე, ეტნოგრაფიაზე, ეკონომიურ მდგომარეობაზე, საზოგადო საჭიროებაზე; როგორც სკა, რომელიც სულ ცოტა თაფლს შესძენს ფუტკარს, ამ ხალხში მცხოვრებ პირთაც შეუძლიან ცოტა რამ თავის ადგილიდამ შესძინოს ჩვენი ქვეყნის საზოგადო ცნობას, მაგრამ, სამწუხაროთ, არც სამღვდელოება, რომელსაც თფილისის გუბერნიაში შეადგენენ სემინარიაში სწავლა დასრულებულები, არც სოფლის ოსტატები და არც სხვა სოფლელები არ იწყენენ თავს მუშაობით,—ჩვენი სოფელი ისეთივე უცნობი ქვეყანაა, როგორიც არის ხრუმირების ქვეყანა.

რატომ ეს?—ამისთვის, რომ არავინაა მოთავე, არავინ ეტყვის იმათ ესა და ეს ცნობა არის საჭირო ჩვენი ქვეყნისათვის, ამა და ამ საჭიროებას თუ ასწერთ და საქვეყნოთ გამოაცხადებთ, შეიძლება, ამ საჭიროებას რამე ეშველოს, ადრე თუ გვიან. არც სტატისტიკური კომიტეტი, არც სამოსწავლო ოკრუგის, არც სასულიერო და სამოქალაქო უწყება, რომლისათვის

---

«დროების» ფელეტონი, 24 ივნისს.

* *

ვით მზეს-უმზირე მზეს უჭვრეტს,
ისე შეგყურებ, ლამაზო!...
რაგინდ მასხამდე მით თავ-რეტს...
გინდ გულს მახვილიც დამასო!

მაგრამ როდემდის?... მიდიხარ,
შენსა ნათელსა მით მაკლებ...
თუმც მარად გულში მიზიხარ,
უშენოთ მაინც ვერ გავძლებ!

და როს სცნო ჩემი ამბავი,
ტანჯვისგან გულ მოკლულისა,
ასე სთქვი:—„მსხვერპლი შექმნილი
საბრალო, სიყვარულისა“!...

ეს სთქვი და მიწით დაფარულს
მიუძღვენ ვარდისა კონა...
ვინც შენსა ჩუმსა სიყვარულს
ესე სოფელი უწონა!

აკაკი.

### თეატრალური ქრონიკა

პირველი წარმოდგენა. „ორ-ცეცხლ-შუა“, დრამა ემილ დ' ჟირარდენისა, თარგმ. ი. მაჩაბლისა.

ძველათ კანონი იყო, როცა სასამართლოში გასარჩევი საქმე არ იქნებოდა სასამართლოს საქმის-მწარმოებელს უნდა გადეშალა კანონთ-კრება და რამდენიმე ხანი სულით დამყუდრებულ თემიდასთვის ეკითხა ეს ძილის-პირი. მელპომენას (ტრაგედიის ღმერთას) რომ იმდენი მსახური ჰყოლოდა, რამდენიც თემიდას, უეჭველია, ეს ჩვეულება სცენაშიაც შემოვიდოდა. და კარგიც იქნებოდა. აუდათ ითამაშა, ვთქვათ, რომელიმე მხედარმა, ან ოჯახის მოღალატემ, ან კაცის მკვლელმა, ან სხვა ავაზაკმა, რეცეზენტი—მელპომენის საქმის-მწარმოებელი—გადუშლიდა სათეატრო კანონებს ტრაგედიის ღმერთას და წაუკითხავდა შესაფერ ადგილს, უამოანგარიშის ნაცვლად.

„ორ-ცეცხლ-შუა“-ს წარმოდგენის რეცეზენტი ამ გვარ კითხვას არჩევდა, რომ უფრო არ გეერისხებია წარბ-მოღრუშული და სისხლის მოყვარე ტრაგედიის ღმერთა, მაგრამ, სანამ ეს კანონები არ შედგენილა, როგორიც უნდა წარმოდგინა ყოფილიყოს, ლაპარაკი გვმართებს...

აი ჟირარდენის პიესის შინაარსი:

ერთი პარიჟელი ბანკირის, დიუმონის საქმე შანტრაკულათ არის; ის გაკოტრების პირზეა მიმდგარი მაგრამ—ყოველ გაჭირვებას მისი მაცხოვარი ჰყავს—გაჭირვების ტალღებსათ გამოუჩნდება მისს ოჯახს ერთი ახალ-გაზდა მდიდარი, ალვარეზ, რომელიც ბოლოს გახდება ოჯახის მეგობრათ და შვილს უნათლავს ბანკირს.

შვიდი წელიწადი გაივლის იმათი დამეგობრობის შემდეგ. ისენი სრულს ბედნიერებაში არიან, მაგრამ ნახეთ ქვეყნის სიმუხთლე, შვიდი წლის შემდეგ ბანკირი შეიტყობს, რომ ალვარეზ ჰყვარობს მის ცოლს მატილდას და მისი ქალი, მისი ერთად-ერთი საყვარელი შვილი, ამ სიყვარულის ნაყოფი არის. ხანში შესულ და ბედნიერ ბანკირს სისხლი ერევა, ბევრ რამეს გაივლებს გულში, მაგრამ ბოლოს უნდა უსისხლოთ და უომრათ გაათაოს ეს ბედნიერება, როგორც შეშვენის ნამდვილ პარიჟის ბურჟუას. ის მოითხოვს ალვარეზისგან, რომ იმ საღამოსვე კანონით მოსთხოვოს მისი ფული, ოთხი-თუ-ხუთი მილლიონი, ცოლს უბრძანებს გადვიდეს დედამამასთან და მოითხოვს მისი მზითევი. ეს იმას დაალარიბებს; ქვეყანაში იტყვიან ღარიბთან ცოლს რა აცხოვრებსო და ამით მისი ოჯახის გაუპატიურება დაიმალება. შვილი კი... შვილის პატიოსნათ გაზრდა შეუძლიან მხოლოდ იმას და იმის აღზრდას კი არავის დაანებებს....

ამაზე, უკანასკნელათ დაეშვება ფარდა და სამ-მოქმედებიანი დრამმა თავდება.

პიესის დრამმატიული ღირსებაზე არ შეიძლება ითქვას, ჩვენებურათ, დულს და გარდადულსო. ყოველი ღირსება პიესისა მდგომარეობს იმაში, რომ პიესა, როგორც რუსები იტყვიან, ეფფექტით არის სავსე. კარგი მოთამაშეები, კარგათ მორთულ სცენაზე სწორეთ შთაბეჭდილებას დასტოვებენ მაყურებლებში, მაგრამ თუ აქტიორები დახელოვნებულნი არ არიან და მდიდარი ბანკირის სახლის მაგიერ სცენამ ტიტულიარნი სოვეტნიკის ოთახი წარმოგვიდგინა, როგორც ჩვენს წარმოდგენაი, ეს პიესა ისე უფერულათ და უკვალოთ ჩაივლის, როგორც ხუთ-შაბათის წვიმა.

სწორეთ ესე უფერულათ და უკვალოთ ჩაიარა ამ პიესის ჩვენ სცენაზე წარმოდგენამ.

ორ ცეცხლ-შუა მეოფ მატილდას ადგენდა ბ. ბაბუნიას ქალი. არტის-

ეს ცნობა საჭიროა, მიუცილებელათ საჭიროა, ხელსაც არ ანძრევენ ამ გვარი ცნობების შესაკრებათ და მართევენ მხარეს, რომელსაც ისინი იცნობენ მარტო უეზდის უფროსის და სახალხო სკოლის ინსპექტორის კანცელარიების ოფიციალური მოხსენებით.

მაგრამ გონებითი მოძრაობის საზოგადო ისტორია გვასწავლის, რომ გონებამ თითონ უნდა გაიკაფოს თავისი გზა და თითონ, სხვისი ჩვენების და მოწერილობის გარე უნდა ეძიოს ჭეშმარიტება და „თავის თავის ცნობა“. თითონ სოფლის ოსტატებმა, რომლებიც ამ ვაკაციების დროს მაინც თავისუფალნი არიან, თითონ სამღვდელოებამ, უნდა გააკეთოს საქმე, რომელიც მათი საკუთარი ცხოვრების ინტერესს შეადგენენ. თითოეულმა უნდა ეძებოს თავის სფერაში ის, რაც იმას ჰქონია, რაც აქვს და რაც უნდა ჰქონდეს.

W.

## ახალი ამბები.

სულ მუხრან-ბატონის მამულის თაობაზე.

წასრულ კვირას, სოფ. ღილომში, თავ. ი. კ. მუხრან-ბატონს გაუგზავნია ერთი ყმაწვილი კაცი თათრებთან, გვგონი, რიღასიც წასართმეველათ. თათრებს შუღლი მოსვლიათ ყმაწვილთან, უკრავთ თოფი და იქვე გაუგორებიათ.

მოკვლის მეორე დღეს მუხრან-ბატონი, საქმის გამო, იმერეთს წაბრძანებულა. სხვათა შირიო ჩემთვის ჩხირიო.

* * *

ამ დღეებში ჩვენ ველაპარაკეთ ბ. მიხაილოვს, რომელიც, ბუნგეს მაგიერ, არის დანიშნული ბაქოს რკინის გზის მაშენებლათ. იმან გვიამბო, რომ ელისავეტპოლის გუბერნიაში გზის-მუშა სპარსელებს ხშირი შეტაკება მოსდით იქაურ მცხოვრებ თათრებთან. ამ შეტაკებაში დღემდის ცამეტი კაცი მომკვდარა.

* * *

ჩვენ მივიღეთ ქუთაისიდამ შემდეგი შენიშვნა:

„თუ კი თფილისში ხმარობენ საშუალებას ძაღლების მოსასპობათ, ქუთაისს რაღა დაემართა,—ესეც ხომ ჩვენი საქართველოს დედა ქალაქია. ძაღლების სიმრავლის შიშით ქუჩებში დიდსა და პატარას ვერ გაუვლიათ. სილის უბანი განსაკუთრებით ძაღლების სიმრავლით ყველა უბნებს გადააჭარბებს. პავლე ზვარამიას სახლის წინ არის ერთი პატარა მინდორი, სადაც გუშინ, პარასკევს საღამოს, და დღეს დილით პატარა ბიჭები კინაღამ შეჭამეს ძაღლთა გუნდმა ამ მინდორზე.

„გთხოვთ ეს ამბავი და ბეჭდოთ, რომ, ვისიც რიგია, ყურადღება მიაქციოს როგორც ამ ძაღლებს, აგრეთვე მეორე არსებასაც, რომელსაც ფრუხუნას ეძახიან და რომლებსაც არა დაუკარგავთ-რა და ეძებენ, არა სტკივათ-რა და კვნესიან... ეს მეორე არსება, არამც თუ მივარდნილს ქუჩებში, შუა ბულვარში შეგიძლიანთ ნახოთ, მებაღობას ჩადიან; უთხრიან ძირებს ბულვრის ხეებს თავიანთ ფაფუკი ცხვირებით, იქნება იმისთვის, რომ ამ ბაღს ვგონებ მებაღე არა ჰყავს...“

* * *

სოხუმიდამ შემდეგ შემთხვევას გვწერენ:

„15 ამა თვეს ღამის 2 საათზედ ერთი სამწუხარო შემთხვევა მოხდა აქ უეცრათ. სამსა ძმათა ზვასალიებს აქვთ გამართული კარგათ, ევროპიულათ სასმელებისა და სხვა-და-სხვა სამხლვარ-გარეთის საქონლის მაღაზია. ყველაზე უმცროსი იმათგანი თეიმურაზი გასულა მაღაზიის უკან ეზოში, ძილი მოჰკიდებია და, რადგანაც ოთახში ცხელოდა, აქ მშვენიერ მწვანე ბალახზედ ხის ძირში წამოწოლილა და დაძინებია.

„ღამის 2 საათამდი სძინებია. შემდეგ გამოღვიძებია და ნამძინარევი თეიმურაზი წამომხტარა და მისულა დუქნის უკან ოთახის კარებთან გასაღებათ; მისდა საუბედუროთ, ხმა არ ამოუღია, ისე დაუწყია დაკეტილი კარების გაღება. შიგ ოთახში იწვა ორი მისი ძმა და ერთი ვიღაც სტუმარი ნაჭყეპია, რომელსაც გაუგია კარების წვალება და ხმაურობა თუ არა, ჰგონებია ქურდები დაგვესხაო, გაუღვიძებია შიგ მწოლარე მაღაზიისა მართველი და მის სასთუმლიდგან ამოუღია რევოლვერი და დაუჭერია ხელში.

„ამ დროს რაღაც ნაირათ კარები გაღებულა და შემოუდგამს საწყალ თეიმურაზს ფეხი; უსვრია ნაჭყეპიას რევოლვერი, და ჭემო ბარძაყზედ მოხვედრია რევოლვერის ტყვია... თეიმურაზა უეცრათ დაცემულა უსულოთ, ერთი კი დაუყვირია—„რათ მომკალით! მე ვარ...“

„იმ წამსვე მიცვივდებიან ძმები და ნაჭყეპია, აიყვანენ და დააწვენენ ლოგინზედ.

„საიდგანაც არ იყო, ეს შემთხვევა გაიგო ღამის პოლიციის ყარაულმა ბ. თოფურიძემ, რომელმანც შეაყენა აქტი, და მისი განკარგულებით მოიხმეს ქალაქის ექიმი;—უშველოს ღმერთმა, ამოუღო ტყვია, და გარდა არჩინა სიკვდილისაგან“...

## ქართული ეკლესიური გალობის საქმე *)

თელავის საბლაღოჩინოში, ბლაღოჩინის მღვდლის მიხაილ ხელაევის მეცადინეობით და ეგრეთვე ყონდოლის მღვდლის გიორგი ჭელიძეს მეცადინეობით, შეიკრიფა ოც-თუმნამდინ. ამ ფულებს შორის ათი მანათი შესწირეს თელავის სობორელებმა. ეს ფულები თელავიდამ გამოაგზავნა თვით ბლაღოჩინმა ხელაევმა ჩემთანა.

შუამთის ბერებმა შესწირეს თორმეტი მანათი და ოთხ-აბაზ-უზანთული.

ართოზნის ბლაღოჩინს დეკანოზს მენატე მრევლოვს თავის საბლაღოჩინოში შეუკრეფია სამი თუმანი ერთი მანათი ერთი აბაზი და ერთი კაპეიკი, რომელიც კიდეც გამოაგზავნა.

ეს ფულები სასარგებლოთ შეტანილია, ქართულ საეკლესიო გალობის სასწავლებლის სახელზედ და კვიტანციებს მე ვიცავ.

მადლობის და საზოგადოებისაგან პატივის ღირსი არიან ვინც ამ გალობის სახელზედ ფულის შეკრებაში ერთგულება აღმოაჩინა. სახელდობ: თელავის მაზრის უფროსი თ. ნიკოლოზ ზაალის-ძე ჩოლოყაშვილი, რომელსაც მე მადლობა მიუძღვენ წერილითა და ლოცვა-კურთხევა სახელითა უფლისათა, ბლაღოჩინი თელავისა, მღვდელი მიხაილ ხელაევი, და ყანდოლის მღვდელი გიორგი ჭელიძე.

*) იხ. „დროება“ № 111.

---

ტკა, რომელიც ასე ზედ-მიწევნით თამაშობს ქართული ცხოვრებიდამ შედგენილ პიესებს, რომელსაც მაქანკლის როლის თამაშში ტოლი არა ჰყავს, გვეგონა, პარიჟის მდიდარი საზოგადოების ქალს სულ ვერ ითამაშებდა, მაგრამ ამ საღამოს წარმოდგენაში კიდევ როგორც იქნა პირველობა იმას დარჩა. მართალია, იმას არ ჰქონდა ის მიხრა-მოხრა, ის გრაცია, რომელიც პარიჟში ბურჟუას ცოლებსაც აქვს, მართალია, ორ ცეცხლ-შუა მყოფი სუსტი ქალის სულის მოძრაობა ვერ ითარგმნებოდა მისს ნაკვთში, მის ხმაში, რომელიც ხელოვნურათ მარტო იყო მოძრავი, მაგრამ მაინც მხოლოობითი სიამოვნება, რომელიც დასტოვა მაყურებლებში პიესამ, ეკუთვნის ბ. ბაბუნიას, პირველ მოქმედებაში, ნამეტურ ალვარეზთან ლაპარაკი, კარგათ იყო ასრულებული. შემდეგ მოქმედებებში უფრო სუსტი იყო და ხშირად ლაპარაკის მაგიერად ფუჩუნებდა, როცა ძნელი, დრამატიული ადგილები დახვდებოდა.

დიუმონს (ყიფიანს) და ალვარეზს (მოხევეს), ორთავეს, ერთი საზოგადო და სამუდამო ნაკლულევანება აქვთ, რომელიც ამ საღამოს ყველაზე უფრო ცხადათ გამოაშკარავდა. ეს ნაკლულევანება არის მათი როლის თქმა, სცენაზე ლაპარაკი. კ. ყიფიანს დიქცია კარგი აქვს, რომ იმას ქართული ლაპარაკი არ ეძნელებოდეს და როლები კარგათ იცოდეს, უეჭველია, ქართული სცენის ბატონობა მისი იქნება, მაგრამ, ჩვენ აღზრდას რა უყოთ, ჩვენ სკოლებს და ცხოვრებას რა უთხრათ, რომ ქართულათ მარტო ჩვენ გადიებს ველაპარაკებით და ენა უძრავი გვაქვს ქართულისთვის. ბ-ნი ყიფიანის თამაში შუაზე იყოფა ამ როლის თქმაზე ზრუნვით. ალვარეზთან მუსაიფში, მაგალითებრ, ბ-ნი ყიფიანი კი არ ლაპარაკობს, ის იმის მეცადინეობაშია, როგორმე დაწყებული ფრაზა მოათავოს, როგორც გალობის მოსწავლე შეგირდი ცდილობს ნოტები არ გამოსტოვოს პიესაში და სულ ცოტას ზრუნავს საზოგადო მელოდიაზე. და რადგანაც კალამმა მოიტანა, ბარემც ისიც ვსთქვათ, რომ ამ საღამოს მთელი პიესის განმავლობაში კ. ყიფიანი ერთის ტონით ლაპარაკობდა და ისიც იმ ნოტით, რომელსაც წინ ბემოლი უზის.

ბ. მოხევე დრამმატიულ ადგილებში სწორეთ ისე ლაპარაკობს, როგორც სუფლიორი, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ სუფლიორზე მაღლა ამბობს. ეს საზოგადო ნაკლულევანებაა ჩვენში. მე ჯერ უბრალო ლექსი ისე არსად მინახავს წაკითხული ჩვენში, რომ მკითხველს ხმა სხვისთვის არ დაესესხოს. რატომ? რისათვის? რა ცუდი ხმა მოხევეს აქვს, რომ სხვისი ხმით ილაპარაკოს, რა ცუდი ქართულით ის ლაპარაკობს, რომ სცენაზე წამ-და-უწუმ სიტყვებზე ხმა არ აუწიოს, და „უდარჯნიით“ არ დააუშნოვოს ქართული. ვინ არ იცის დღეს, და მათ შორის მოხევემ, რომ უბრალო ხმით და უბრალო ენით ლაპარაკი არის მაყურებლების გულსა და სცენას შუა უმახლობელესი გზა...

ცალ-ცალკე: ბატონმა ყიფიანმა, რომელსაც მაჯლაჯუნასავით აწევს როლის გაუზეპირებლობა და ლაპარაკის ზრუნვა, ბანკირის როლი გააფუჭა. თავიდამ ბოლომდის, სიხარულში და გაჭირვებაში, მაყურებლების წინ იდგა უენებელი ბანკირი. არც მაშინ როდესაც თავისი უბედურება შეიტყო, არც შემდეგ, როცა უკანასკნელი გადაწყვეტილება მიიღო და მისი სიცოცხლე გადატყდა, არც სიტყვით, არც მიხვრა-მოხვრით, არც თვალებით არ იცვალა ფერი ბანკირმა. ბრალი, რასაკვირველია, ავტორის არ არის...

ბატ. მოხევესაც ხელ-ფეხი ლაპარაკმა შეუკრა და ცოტა გარეგნობამაც. მილლიონერის მაგიერ ჩვენ წინ გვედგა ცხოვრებაში გამოსული სემინარიელი, რომელსაც სემინარიის ბეჭედი არ მოსცილებია. მდიდართ-მდიდარი, ოც-და-თოთხმეტი წლის პარიჟელი აშიკი, რომელიც გრძნობისაგან იჩჩობა, უნდა ნახო პარიჟის სცენებზე, რა გვარათ ჰქუხს, რა გვარ ჟრუანტელს მოგვრის მაყურებელს თავისი გულის გამოთქმით. ბ. მოხევეს აკლდა ეს გამტაცებელი გამოთქმა, ეს ხან ტკბილი და ნაზი ხმა და ხან სასოწარკვეთილი ჩივილი და ყვირილი. ის მუდამ ერთის ხმით, მუდამ ერთის „ჟესტით“ და სიფრთხილით ელაპარაკებოდა, როგორც თავის საყვარელს, ისე თავის დიუმონს...

მინდოდა ორიოდე სიტყვა სცენაზედაც გვეთქვა, მაგრამ სცენის ნაკლულევანებაზე შემდეგაც არ იქნება გვიან.

ლელო.

პატივი, დიდება და ცხონება სულისა მათ სასულიერო და საეროცველთ პირთა, რომელნიც ამ ჩვენ დროს დამცირებულ და დაცემულს საეკკლესიო გალობას, ალსადგენელად წარმატებას აღმოუჩენენ ფულების შეწირვითა. საქართველოს შვილს, სწავლულს თუ უსწავლელს, ვისაც ქართული ენისთვის და საქართველოსათვის კეთილი სურს, რაიმე საქმით აღმოუჩინოს ქართველობას და ქართულ ენას შემწეობა, თუ არადა ცარიელი ლაპარაკი და ქაღალდზედ წერა არ შეადგენს შემწეობას, მამულის სიყვარულს.

აბა ვინც ჩინებულნი მამულის შვილნი ხართ და საქვეყნო მოღვაწენი, საქართველო ენის აღდგენის სარბიელზედ გამოდით და რითიმე შეეწიეთ შეძლებისა მებრ ამ წინეთ წარჩინებულს მშვენიერს, ტკბილს და აწ დაცემულ ენას. ვიმეორებ, ცარიელი სიტყვა და ლაპარაკი უსაქმოთ უნაყოფოა, მსგავსად მისსა, როგორათაც სარწმუნოება თვინიერ საქმეთა მკვდარ არს, ვითარცა სწამებს სიტყვა ღვთისა.

ვიკარნი ეპისკოპოსი ალექსანდრე.

1881 წ. 12 ივნისს.

ტფილისი.

# უცხოეთი

**საფრანგეთი.** ალჟირიაში აჯანყება გავრცელებულა სამხრეთ ნაწილში; ორანის და თუნისის მაზრებში მოძრაობა არისო.

— პარიჟიდამ იწერებიან, რომ ქ. მარსელში არეულობის მიზეზით, ღამით, 21 ივნისს, საავათმყოფოებში მომკვდარა ჭრილობისაგან სამი ფრანცუზი და ერთიც იტალიელი. ამათ დასაფლავების დროს და ალაგის გამქლავნება არ უნდათ, რადგანაც შიშობენ ახალი არეულობა არ მოხდესო. ქალაქში საზოგადოთ დიდი მყუდროებაა, ვაჭრობა და აღებ-მიცემობა შეჩერებულია. 20 ივნისს, საღამოს კიდევ მოხდა შეტაკება, მაგრამ მოკვლით არავინ მომკვდარა. ძრიელ უსიამოვნება მოახდინა ხალხზედ იმ ხმამ, ვითომც რამოდენიმე მექარხნეებმა და რკინის გზის მმართველობამ დაითხოვა თავიანთი იტალიელი მუშებიო.

—

**იტალია.** საფრანგეთის წინააღმდეგ მომხდარ დემონსტრაციაზედ ქქ. ტურინში, ნეაპოლში და ჰენუაში, გვაცნობებენ შემდეგს. ტურინში შეკრებილა დიდ-ძალი ხალხი საფრანგეთის კონსულის სახლის წინ, სადაც უცდიდა ამათ პოლიციის უფროსი (პრეფექტი), ახლო-მახლო ქუჩები ჯარ-შემორტყმული იყო. ბევრი და უსარგებლოდ თხოვნის შემდეგ, რომ კრება დაშლილიყო მშვიდობიანათ, წაუკითხეს მათ ამ შემთხვევისთვის დაწესებული გაფრთხილება. ამის შემდეგ კრება დაიშალა. ნეაპოლში დიდ ძალი ხალხი დაიარებოდა ქუჩა-ქუჩა და მეიდანზედ და ყვიროდა: „ურას“! იტალიისა და მისი ჯარის სასახელოთ. ამათ დაშლაშიაც პოლიციამ მიიღო მონაწილეობა. არავითარი უწესოება არ მომხდარა. ჰენუაში საფრანგეთის წინააღმდეგ იმით გამოაჩინეს უსიამოვნება, რომ პოლიციის (პრეფექტურის) წინ რამოდენიმე ხანს ჰყვიროდენ იტალიას გაუმარჯოსო.

—

**ესპანია.** ესპანიის სატახტო ქალაქიდამ მადრიდიდამ იწერებიან, რომ მთავრობამ აღმოაჩინა საფრანგეთის სამზღვარზედ საომარი მასალები, რომელიც ეკუთვნოდა კარლისტებს. ჟანდარმებს დაუჭერიათ 80 თოფი და 21,000 სასროლი.

— მადრიდის ქუჩებში ეს მეორეთ არის, რომ ყუმბარებს აფეთქებენ; ამ აფეთქების შედეგი ის ყოფილა, რომ სამი ბავშვი დაჭრილა, ერთი მათგანი ძრიელ მძიმედ.

— ესპანიის მთავრობას გარდაუწყვეტია, მიიღონ მხურვალე მონაწილეობა რუსეთიდამ და სხვა ქვეყნებიდამ განდევნილ ებრაელების მდგომარეობაში. მთავრობამ მისცა მათ ნება ესპანიაში გადმოსახლებისა. ამ მიზნით დანიშნული იქმნება ცალკე გემები ოდესასა, სტამბოლსა და სალონიკს შუა ერთის მხრით და ერთთ ესპანიის კუნძულისა ხმელთა-შუა ზღვაში—მეორეს მხრით. ებრაელების ოჯახობას წაიყვანენ უფასოთ ორ ესპანიის პროვინციაში, სადაც უნდათ დააწესონ ებრაელების მოსახლობა (კალონია). ამას გარდა, ესპანიის მთავრობა დააწესებს, თავის ხარჯით, სტამბოლში და სალონიკში, სკოლებს, სადაც ასწავლიან უფასოდ არა თუ ესპანიურ ენას და მის ლიტერატურას, სხვა საგნებსაც. ესპანიის ელჩს სტამბოლში, გრაფ რასკონს, გამოეცხადა ებრაელების დეპუტაცია, უნდოდათ გაეგოთ, რამდენათ დასაჯერებელია ეს ხმებიო, და როგორც გაუგია გაზეთს *Politische Korrespondenz*-ს, გრ. რასკონს დაუჯერებია ისინი ამ ხმის სინამდვილეში.

— ებრაელების ესპანიაში გადმოსახლების თაოსნობა და განზრახვა პირველად განუცხადებია თვითონ ესპანიის კაროლს ალფონსოს, და არა მისს ლიბერალურ სამინისტროს. ამტკიცებენ, რომ მინისტრები გაკვირვებულ იყვნენ, თურმე, როდესაც კაროლმა წარუდგინა მათ სხდომაში თავისი პლანი რუსეთიდამ და გერმანიიდამ განდევნილ ებრაელების ესპანიაში მიღებისა, იმ მიზნით, რომ იქნება მოესპოთ შთაბეჭდილება ებრაელების განდევნისა, რომელიც მოხდა ესპანიაში წარსულ დროში. სამინისტრო რჩევას მიუღია კაროლის პლანი, და კაროლმა თვითონ უკარნახა დეპეშის შინაარსი ამ ჰაზრით ესპანიის ელჩებთან სხვა სახელმწიფოების წინაშე.

# განცხადებანი

**იყიდება** საკრავი მაშინა, ორი საცვალით, თექვსმეტი იტალიური სხვა-და-სხვა ხმებით, დიდი კაკლის სათიანი შკაფით. ადრესი: ჩუღურეთი, ტუზოვის სახლი № 27. (3—1)

**თბილისის სამოქალაქო გამგეობაში**, დილის 9 საათ. ნაშუადღევის 1 საათამდის, მიიღება ხელის მოწერით შესაწირავი მოსკოვის ქრემლში ძეგლის ასაგებათ მიცვალებულის, ნეტარ-ხსენებულის და საუკუნოდ სადიდებელათ ღირსეულის ხელმწიფის **ალექსანდრე ნიკოლოზის-ძის** სახელობაზედ. 3—1

**ლონდონის მაღაზია** კომერციული ბანკის ქვეშ დაარსებულია ნამდვილი ჩაიგასასყიდლათ პირველი მოკრეფილისა და საუკეთესო ინგლისური საქონლისა: მაგალითებრ: თოფებისა, რევოლვერებისა, კლიტეებისა, ჭურჭლებისა, კრავატებისა, დანებისა, კოვზებისა, ჩაინიკებისა, შოკოლადისა, კაკაოსი, დუხებისა, საპონისა, შრო კებისა, ცხვირ-სახოცისა, ქაღალდისა, კარანდაშებისა, კალმებისა, უნაგრებისა, სუკრისისა (გამრეცხი კლეშჩევინი ზეთისა) და სხვ. საუკეთესო მაკინტოშის მოსაწყობად გასასყიდლად კანფეტების და ბატკერის და კამბ. მურაბისა, აგრეთვე ჩულქებისა და წინდებისა ნოტინგამიდამ. ნამდვილი ჭაჯანას გიარები. (100—89)

**სოფლისათვის** მოსახურავები 4 მან.; დასაკეცი კრესლოები 2 მ. და 50 კაპ. და კრაოტები 8 მანეთიდამ; სკამიანი ჯოხები 4 მან., ლამაკები 14 მან., კრესლოიანი კრავატები 10 მანეთიდამ; ბაკლები 15 კაპ. ეკსტრაქტი-ყავა, კაკაო, თოფები, რევოლვერები, პირის-სახოცები, საწერი მასალეები, კალმები, და სხვ. და სხვ.

**ინგლისის მაღაზიაში.**

(10—2)

**სიყვარულის კონა.**

ლექსები, კომედია და დალისტნელი ლეკის ამბავი, თხუზულება დიმიტრი ნადიროვისა. დაიბეჭდა და ისყიდება ქქ. თბილისს, ქუთაისს, გორს, სიღნაღს და თელავს წიგნების მაღაზიებში.

ფასი ყველგან ერთი აბაზი.

(5—2).

# ქუთაისის საადგილ-მამულო ბანქისაგან

**სამმართველო ქუთაისის გუბერნიის თავად-აზნაურთ საადგილ-მამულო ბანკისა** საყოველთაოდ აცხადებს, რომ, ამ ბანკის წესდების მე-18 § ძალით, 28 კვირიკობის თვეს მიმდინარის 1881 წლისა, დილის თორმეტ საათზე, ქ. ქუთაისს, ბანკის სამმართველოში (ქარავან-სარაის ქუჩა, ხარაზოვების სახლები) საზოგადო ვაჭრობით გასყიდულ იქმნებიან ხსენებულს ბანკში დაგირავებულნი უძრავნი მამულნი ქვემო აღნიშნულთა პირთა, რადგანაც მათ წესდებისამებრ ბანკის სახვედრო გარდასახადი არ შემოუტანიათ.

გასყიდვა მოისპობა მხოლოდ იმ მამულთა, რომელთა მეპატრონენი, იმავე წესდების მე-19 §-ის თანახმად, სრულად შეავსებენ ბანკის სახვედრო გადასახადსა და თან განცხადებათა ხარჯებს.

**ქუთაისის გუბერნიის:**

**ქუთაისის უეზდისა:**

$43\frac{1}{2}$ წლიანნი სესხნი:

**დოლაბერიძისა**, მარიამ სიმონის ასულის, კოლლეჟსკი ასესორის მეუღლისა: სოფელსა ბაშს სახნავ-სათესი და ტყე, $46\frac{1}{3}$ დესიატინი; თავნი ვალი 7,333 მანეთი 30 კაპ., შეუვსებელი გადასახადი 312 მან. 98 კაპ., სულ 7,646 მან. და 28 კაპ.

**მისივე**: სოფელთა ფარცხანაყანევს, ბაშს და ინეთს სახნავ-სათესი, ტყე და სათიბი, $132\frac{1}{3}$ დესიატინი, თავნი ვალი 10,266 მ. 54 კ., შეუვსებელი გადასახადი 544 მან. 53 კ., სულ 10,811 მ. და 7 კ.

**ქაჯაიასი**, გიორგი ტარიელის-ძის, აზნაურისა: სოფელს ჭაგანს ეზო, ზვარი, სახნავ-სათესი და ტყე, 7 დესიატ. და 800 კვადრ. საჟენი; თავნი ვალი 879 მ. 98 კ., შეუვსებელი გადასახადი 60 მან. 37 კ., სულ 940 მ. და 35 კაპ.

**დოლიძისა**, გრიგორი ვასილის-ძის, დიაკონისა: ქვახჭირის აგარს, სოფელს ჭოგნარს ზვარი და სახნავ-სათესი, 4 დესიატინი; თავნი ვალი 588 მ. 51 კ., შეუვსებელი გადასახადი 36 მ. 7 კ., სულ 624 მ. 58 კ.

**ყანდინოვისა**, ანნა ნიკოლოზის ასულის, ნადვორნი სოვეტნიკის ქალისა: სოფელთა ჭოგნარს, გოდოგანს და წინაველს ეზო, ზვარი და სახნავ-სათესი, 26 დესიატ. და 600 კვადრ. საჟენი; თავნი ვალი 2059 მან. 76 კ., შეუვსებელი გადასახადი 95 მან. 43 კ., სულ 2,155 მ. 19 კ.

**ნიჟარაძისა**, მიხაილ დიმიტრის-ძის, თავადისა: სოფელსა ზედამაღლაკს ეზო და სახნავ-სათესი, 18 დესიატ. და 450 კვადრ. საჟ.; თავნი ვალი 784 მან. 75 კ., შეუვსებელი გადასახადი 44 მ. 10 კ., სულ 828 მან. 85 კ.

**აგიაშვილისა**, გიორგი თეიმურაზის-ძის, თავადის, გვარდიის პორუჩიკისა: ეზო, სახნავ-სათესი, ზვარი და ტყე, 114 დესიატ. და 1931 კვადრ. საჟენს; თავნი ვალი 14,757 მ. 41 კ., შეუვსებელი გადასახადი 616 მან. 6 კაპ., სულ 15,373 მან. 47 კ.

**მიქელაძისა**, დავით ალექსანდრეს-ძის, თავადისა: სოფ. ჭყუმურს სახნავ-სათესი, 130 დესიატ. 80 კვადრ. საჟ.; თავნი ვალი 25,579 მან. 55 კ., შეუვსებელი გადასახადი 1,293 მან. 80 კაპ., სულ 26,873 მ. 35 კ.

**კიკიანის** მეუღლისა, ანნა ფირანის ასულის, აზნაურისა: სოფ. პატრიკეთს ეზო და სახნავ-სათესი, 9 დესიატ. 695 კვადრ. საჟენი; თავნი ვალი 688 მან. 69 კაპ., შეუვსებელი გადასახადი 40 მ. 9 კ. სულ 728 მ. 78 კ.

**ქუთათელაძეთა**, მეგენიის და ტარასის სოფრომის-ძეთა, აზნაურთა: დაბა ხონს ეზო, სახნავ-სათესი და ტყე, 8 დესიატ. 2050 კვადრ. საჟენი; თავნი ვალი 1,377 მან. 34 კ., შესავსებელი გადასახადი 54 მან. 92 კაპ., სულ 1,432 მან. 26 კაპ.

**ღოღობერიძის**... 

**დადეშქელიანის**...

**ღორთქიფანიძის** მეუღლისა, ქესარია ბესარიონის ასულის, თავადისა: სოფ. ზეინდარს სახნავ-სათესი, 13 დესიატ. 300 კვადრ. საჟ.; თავნი ვალი 1,475 მან. 74 კაპ., შეუვსებელი გადასახადი 72 მან. 19 კაპ., სულ 1,547 მან. 93 კაპ.

**მიქელაძისა**, მელქისედეკ კონსტანტინეს-ძის, თავადისა: სოფელთა ქულაშს და ორ-წყალ-შუას ეზო, ზვარი და სახნავ-სათესი, 17 დესიატინი 1930 კვადრ. საჟენი; თავნი ვალი 2,459 მან. 58 კაპ., შეუვსებელი გადასახადი 112 მან. 31 კაპ., სულ 2,571 მან. 89 კაპ.

**ღორთქიფანიძისა**, მიხაილ გიორგის-ძის, თავადისა: სოფელსა ამაღლება სახნავ-სათესი, 82 დესიატინი 1200 კვადრ. საჟენი; თავნი ფული 7,893 მანეთი 80 კაპ., შეუვსებელი გადასახადი 250 მან. 15 კაპ., სულ 8143 მან. 95 კაპეიკი.

**იოსელიანისა**, პეტრე ნიკოლოზის-ძის, აზნაურისა: სოფელსა წყალტუბოს ეზო, ზვარი სახნავ-სათესი და ტყე, 14 დეს. 600 კვადრატ. საჟენი; თავნი ვალი 1187 მან. 46 კაპ., შეუვსებელი გადასახადი 75 მან. 3 კაპ., სულ 1,262 მან. 49 კაპ.

**მიქელაძეთა**, ვალერიანის და გიორგის ბეგლარის-ძეთა, თავადთა: სოფელსა ქულაშს ეზო და სახნავ-სათესი, 23 დესიატ. 1104 კვადრ. საჟ. თავნი ვალი 4650 მან. 86 კაპ., შეუვსებელი გადასახადი 278 მან. 88 კაპ, სულ 4,929 მან. 74 კაპ.

**ნიჟარაძისა**, მიხაილ რევაზის-ძის, თავადისა: სოფელსა ოფიშკვითს ეზო. ზვარი და სახნავ-სათესი, 3 დესიატ., თავნი ვალი 791 მან. 64 კაპ., შეუვსებელი გარდასახადი 47 მან. 5 კაპ., სულ 838 მან 69 კაპ.

**ქორქაშვილისა**, ანნა რევაზის ასულის, კოლლეჟსკი ასესორის ქვრივისა: სოფელთა მალლას და ოფიშკვითს სახნავ-სათესი, 25 დესიატ 89 კვადრ. საჟ., თავნი ვალი 694 მან. 60 კაპ., შეუვსებელი გარდასახადი 36 მან. 94 კაპ., სულ 731 მან. 54 კაპ.

### სამ-წლიანი სესხი.

**მიქელაძისა**, ალექსანდრე ტარიელის-ძის, თავადის, პოლკოვნიკისა: სოფელსა კულაშს ეზო, ბაღი და სახნავ-სათესი: $11^1/_4$ დესიატ., თავნი ვალი 1800 მან. შეუვსებელი გადასახადი 357 მან. 54 კაპ., სულ 2,157 მან. 54 კაპ.

### $43^1/_2$ წლიანი სესხნი.

### შორაპნის უეზდისა.

**სალაძისა**, ადამ ნიკოლოზის-ძის, გლეხისა: სოფელსა დილიკაურს, ზვარი, სახნავ-სათესი და ტყე, 3 დესიატ. 432 კვადრ. საჟ., თავნი ვალი 292 მან. 49 კაპ., შეუვსებელი გადასახადი 36 მან. 75 კაპ., სულ 329 მან. 24 კაპეიკი.

**ჩხეიძის** მეუღლისა, მელანია ქაიხოსროს ასულის, აზნაურისა: სოფელსა ლახუნდარას ზვარი, ეზო, სახნავ-სათესი და ტყე, 26 დესიატინი; თავნი ვალი 3,911 მან. 4 კაპ., შეუვსებელი გადასახადი 245 მან. 19., სულ 4,156 მან. 23 კაპ.

**აბაშიძისა**, ქაიხოსრო გიორგის ძის, თავადისა: სოფელსა ლაშეს ეზო, ზვარი სახნავ-სათესი, მიდორი და ტყე, 49 დესიატ. 250 კვადრ. საჟ., თავნი ვალი 6,886 მან. 78 კაპ., შეუვსებელი გადასახადი 292 მან. 88 კაპ., სულ 7,179 მან. 66 კაპ.

**ჭაჭიაშვილისა**, სინო გიორგის-ძის, აზნაურისა: სოფელსა არგვეთს ეზო, ზვარი, სახნავ-სათესი და ტყე, 66 დესიატ. 1291 კვადრ. საჟ.; თავნი ვალი 6,886 მან. 78 კაპ., შეუვსებელი გადასახადი 438 მან 63 კაპ., სულ 7,325 მან. 41 კაპ.

### რაჭის უეზდისა

**ჯაფარიძისა**, ტარიელ მერაბის-ძის, თავადისა: სოფელსა ღარს ეზო, ზვარი და სახნავ-სათესი, 2 დესიატინა 1800 კვადრ. საჟენი; თავნი ვალი 686 მანეთი 60 კაპ., შეუვსებელი გადასახადი 62 მან. 72 კაპ., სულ 749 მან. 32 კაპ.

**ქაფიანიძეებისა**: გოგინა მიქელას-ძის, პეტრე, სპირიდონ და იოსებ დავითის-ძეთა, ალექსი შიოს-ძის და მიხაილ შაქარას-ძის, გლეხთა: სოფელსა ნაკიეთს ეზოები, ზვარები, სახნავ-სათესი და სათიბი, 75 დესიატ 1404 კვადრ. საჟენი; თავნი ვალი 5,937 მან. 25 კაპ., შეუვსებელი გადასახადი 283 მან. 60 კაპეიკი; სულ 6,220 მან 85 კაპ.

### ლეჩხუმის უეზდისა.

**ჩიქოვანის**, ივანე ოტიას-ძის, თავადისა: სოფელთა ლასურიაშს, მახაშს და უწყერს ეზო, ზვარი, სახნავ-სათესი და ტყე, $48^3/_4$ დესიატ.; თავნი ვალი 4,904 მან. 17 კაპ., შეუვსებელი გადასახადი 268 მან. 42 კაპ., სულ 5,172 მან. 59 კაპ.

### სენაკის უეზდისა.

**მიქაძეთა**: ალექსანდრე ალექსანდრეს-ძის, რამინ და ბეჟან ... -ძეთა, გიგო, სოლომონ, დიმიტრი და ანტონ ბესარიონის-ძეთა და ეკატერინა პეტრეს ასულის, თავადთა: სოფელსა ჭალადიდს სახნავ-სათესი, საძოვარი და ტყე, 750 დესიატინა; თავნი ვალი 14,757 მან. 41 კაპ. შეუვსებელი გარდასახადი 815 მან. 87 კაპ., სულ 15,573 მან, 28 კაპ.

### ქ. ქუთაისს

### $18^7/_{12}$ წლიანნი სესხნი.

**გურიელის** მეუღლისა, ელეონორა მიხაილის ასულის, თავადისა: ერთ-სართულიანი ქვითკირის სახლი, სამზარეულოით და 1230 კვადრ. საჟ. ბაღით და ეზოით, თავნი ვალი 4425 მან. 29 კაპ., შეუვსებელი გარდასახადი 304 მან. 97 კაპ., სულ 4730 მან. 26 კაპ.

**იოსელიანისა**, კონსტანტინე იესეს-ძის, პოდპორუჩიკისა: ორ-სართულიანი სახლი ძირა სართული ქვითკირისა, ხოლო ზედა ხისა, 344 კვადრ. საჟ. ეზოით; თავნი ვალი 1104 მან. 43 კაპ., შეუვსებელი გარდასახადი 136 მან. 12 კაპ., სულ 1240 მან. 55 კ.

**ძიუბენკოის** მეუღლისა. მარიამ პეტრეს ასულის: ორ-სართულიანი სახლი—ძირის სართული ქვითკირის, ხოლო ზედა ხისა, სამზარეულოით და 439 ოთხ-კუთხი საჟ. ეზოით; თავნი ვალი 937 მან. 25 კ.. შეუვსებელი გარდასახადი 105 მან, 84 კ. სულ 1043 მან. 9 კ.

**ალავიძეებისა**: ნიკოლოზ, ნადვორნი სოვეტნიკის და ნოშრევან კაპიტანის, ოქროპირის-ძეთა: ორ-სართულიანი სახლი—ძირა სართული ქვითკირისა, ხოლო ზედა ხისა, 294 კვად. საჟ. ეზოით; თავნი ვალი 1,144 მან. 36 კ.. შეუვსებელი გარდასახადი 152 მან. 56 კ., სულ 1,296 მან. 92 კ.

**ვორონოვისა**, მიხაილ ალექსის-ძის, კოლლეჟსკი სოვეტნიკისა: ორ-სართულიანი ქვითკირის სახლი სხვა-და-სხვა მოწყობილებაებით და 1192 კვადრ. საჟ., ეზოით და ბაღით; თავნი ვალი 8,582 მან. 73 კაპ., შეუვსებელი გარდასახადი 344 მან. 32 კაპ., სულ 8,927 მან. 5 კ.

**დგებუაძისა**, ლუარსაბ ნიკოლოზის-ძის, აზნაურისა: ორი ერთ-სართულიანი ქვითკირის სახლი, 198 კვადრ. საჟენი ეზოით; თავნი ვალი 2,861 მან. 91 კ., შეუვსებელი გარდასახადი 218 მან. 29 კ, სულ 3080 მ. 20 კ.

**კანდელაკისა**, დომენტი სიმონის-ძის, კოლლეჟსკი სეკრეტარისა: ორ-სართულიანი ხის ქვითკირის საფუძველზე სახლი, 353 კვადრ. საჟენი მიწით; თავნი ვალი 953 მან. 64 კ., შეუვსებელი გადასახადი 118 მ. 97 კ., სულ 1,072 მ. 61 კ.

**ღორთქიფანიძისა**, გიორგი როსტომის-ძის, თავადისა: ერთ-სართულიანი ქვითკირის სახლი, სამზარეულოით, სამეჯინიბოით და 369 კვადრ. საჟ. ეზოით; თავნი ვალი 2,860 მ. 91 კ., შეუვსებელი გადასახადი 150 მან., სულ 3,010 მ. 91 კ.

**მაროჯანოვისა**, კონსტანტინე ანდრიას-ძის, შტაბს—კაპიტანისა: ერთ-სართულიანი ქვითკირის სახლი, 1800 კვად. საჟ. ბაღით და ეზოით; თავნი ვალი 2574 მან. 83 კ., შეუვსებელი გადასახადი 196 მან. 99 კაპ., სულ 2771 მან. 82 კ.

**მუსხელოვისა**, ალექსანდრე ივანეს-ძის, არტილლერიის პოლკოვნიკისა: ორ-სართულიანი სახლი—ძირა სართული ქვითკირისა, ხოლო ზედა ხისა, სამზარეულოით და 398 კვად. საჟ. ეზოით; თავნი ვალი 5,721 მან. 82 კ. შეუვსებელი გადასახადი 583 მან. 57 კ. სულ 6,305 მან. 39 კ.

**ჯიშკარიანისა**, ტარიელ გიორგის-ძის, მოქალაქისა: ერთ-სართულიანი ქვითკირის სახლი, სარდაფით და 225 კვად. საჟ. ეზოით; თავნი ვალი 2617 მან. 78 კ., შეუვსებელი გადასახადი 156 მან. 45 კ. სულ 2774 მ. 23 კ.

**ლენჩევსკისა**, ვლადიმირ ანტონის-ძის, ინჟინერ-პოლკოვნიკისა: ერთი ორ-სართულიანი ქვითკირის სახლი, ხოლო მეორე აგრეთვე ორ-სართულიანი სახლი—ძირა სართული ქვითკირისა, ხოლო ზედა ხისა, 303 კვადრ. საჟენი ეზოით; თავნი ვალი 14,543 მ. 25 კ., შეუვსებელი გადასახადი 711 მან. 19 კ., სულ 15,254 მ. 44 კ.

### სამ-წლიანნი სესხნი.

**გაბაშვილისა**, მაქსიმ გიორგის-ძის კოლლეჟსკი ასესორისა: 2 ნაკვეთი მიწა, 2 დესიატ. და 708 კვადრ. საჟ.; თავნი ვალი 2,000 მან., შეუვსებელი გადასახადი 110 მ. 93 კ., სულ 2,110 მ. 93 კ.

**დულაძისა**, სოლომონ ნიკოლოზის-ძის, კოლლეჟსკი სეკრეტრისა: ერთი სართულიანი ხის სახლი სხვა-და-სხვა მოწყობილობაებით, 3 დესიატინი და 237 კვადრ. საჟ. ეზოით; თავნი ვალი 5,000 მ., შეუვსებელი გადასახადი 148 მ. 16 კ., სულ 5;148 მ. 16 კ.

ვაჭრობა დაიწყება ზემო-მოყვანილის თავნის ვალიდამ ზედ-დამატებით სხვა-და-სხვა შეუვსებელის გადასახადისა, მამულის გასასყიდლად დანიშნვაზედ ხარჯებისა და, საზოგადოდ, ყველა იმ ფულისა, რაიცა ბანკს თვისის მოვალის სამაგიეროდ დაუხარჯავს. ბანკის ხანგრძლივი ვალის თავნის მოსპობა შეიძლება ამავე ბანკის გირაოს ფურცლებით, რომელნიც მიიღებიან სახელდობრივის ფასისამებრ—მანეთი მანეთად; ხოლო ვადაზე გადასახადი და სხვა გვარი ბანკის სახვედრო ფული უნდა შემოტანილ-იქმნენ ნაღდათ.

ვისაც ვაჭრობაში მონაწილეობის მიღება სურსთ, მათ შეუძლიათ გასასყიდელთა მამულთა აღწერილობის და საბუთების განხილვა ბანკის სამმართველოში.

თუ ეს ვაჭრობა არ შესდგა, მაშინ, ბანკის წესდების 24 §-ის საფუძველით, ინიშნება მეორე და უკანასკნელი ვაჭრობა 18 აგვისტოს მდგომარის 1881 წლისა, იმავე ბანკის სამმართველოში.

(3—2)

Дозволено цензурою. Тифлисъ, 23 Іюня 1881 г. Типографія С. Меликова. გამომც. ს. მელიქიშვილი. რედაქტორები: ილ. ჭავჭავაძე და ს. მესხი